ოქმი:**ო03.37220322**

თარიღი:**01/02/2022**

ოქმი N4

მუნიციპალიტეტტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის სხდომის

2022 წელი, 31იანვარი

ქ.ოზურგეთი

14.00-15.00 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. ღაჟონია, ე. გორდელაძე, რ. დუმბაძე, გ. შარაშენიძე, მ. ვაშალომიძე, ტ. აროშიძე, გ. მდინარაძე, ს. ქარცივაძე, ტ.მგელაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ 2021 წელში გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ.

   მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

2. „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის , გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილის შესახებ

   მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

სხდომის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა ვრცლად ისაუბრა მუნიციპალიტეტების საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ 2021 წელში გაწეული მუშაობის შესახებ. კომისიის წევრებმა სხდომის თავმჯდომარის გ. ჩავლეშვილის წინადადებით ანგარიში შეაფასეს დამაკმაყოფილებლად და მხარი დაუჭირეს მისი ჯერ საკრებულოს ბიუროს, შემდგომ საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენას შეფასებისა და ცნობად მიღების მიზნით. შემდეგ კომისიის წევრებს გააცნო „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის , გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილი, რომელიც მიღებულ იქნა ცნობად.

გადაწყვიტეს:

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ 2021 წელში გაწეული მუშაობის ანგარიში წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე შეფასებისა და ცნობად მიღების მიზნით.

2. „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის , გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წერილი მიღებულ იქნას ცნობად.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი